ბათუმის ტელევიზია და რადიო
საზოგადოებრივი მაუწყებელი
საქართველო, 6010,ბათუმი მემედ აბაშიძის, 41
41, Memed Abashidze av. Batumi, 6010, Georgia
Tel : + 995 422 274370/274382
Fax: + 995 422 274384/274371
info@ajaratv.ge
ajaratv.ge

N 02-09/33
03.07.2026

33--4-202607032000

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობისათვის პროდუქციის შესყიდვის მიზნით საჯარო კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის, ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს (შემდგომში - ,,მაუწყებელი") დებულების, ,,სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს სამაუწყებლო, ციფრული პროდუქციისა და თანმდევი მომსახურების შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ" მაუწყებლის დირექტორის 2026 წლის 22 ივნისის N 02-03/28 ბრძანების, სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს სამაუწყებლო, ციფრული პროდუქციისა და თანმდევი მომსახურების შესყიდვის მიზნით მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ" მაუწყებლის დირექტორის 2026 წლის 29 ივნისის N 02-03/29 ბრძანებისა და ამავე ბრძანების საფუძველზე შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმების (N 02-02/1142, 01.07.2026; N02-02/1161, 03.07.2026) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს სატელევიზიო მაუწყებლობისათვის პროდუქციის შესყიდვის მიზნით გამოცხადდეს საჯარო კონკურსი და დამტკიცდეს საკონკურსო პირობები №1 დანართის შესაბამისად.

2. სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს რადიო მაუწყებლობისათვის პროდუქციის შესყიდვის მიზნით გამოცხადდეს საჯარო კონკურსი და დამტკიცდეს საკონკურსო პირობები №2 დანართის შესაბამისად.
3.საკონკურსო განცხადებები მიიღება 2026 წლის 19 ივლისის ჩათვლით.
4.საკონკურსო განაცხადების წარდგენა წარმოებს ელექტრონული ფორმით, მაუწყებლის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე - info@ajaratv.ge ან მატერიალური სახით - მაუწყებლის საქმისწარმოების განყოფილებაში.
5.წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს მაუწყებლის ვებგვერდზე.

6.წინამდებარე ბრძანება გაცნობისა და აღსრულების მიზნით დაეგზავნოს მაუწყებლის მედიაწარმოებისა და გავრცელების სამსახურს, ასევე ფინანსებისა და ადმინისტრაციის სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).
ირაკლი კიკვაძე

დირექტორი